



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

## სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო

### უნივერსიტეტი

Legal Entity Public Law

SAMTSKHE-JAVAKHETI STATE UNIVERSITY  
აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL



ოქთი № 8

„14“ 06

2019 წ

### დადგენილება № 39

„სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქციაში“ ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის #52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მენიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებისა და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე -3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 თებერვლის N14 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქციაში“ და აღნიშნული ინსტრუქციის დანართი 1 -ის (პროგრამის ფორმა):

ა) მე-6 პუნქტი „მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

#### „6. მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად);

1. „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მენიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი 2-ის „სწავლის

სფეროების კლასიფიკატორის“ მე-4 მუხლის თანახმად უმაღლეს განათლებაში შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება მოიცავს უმაღლესი განათლების საფეხურის შესაბამის ზოგად აღმნიშვნელს, კვალიფიკაციისა და დეტალურ სფეროში არსებული სწავლის სფეროს დასახელებას.

2. ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საფეხურის შესაბამისი კვალიფიკიების ზოგადი აღმნიშვნელებია:

| ბაკალავრიატში   | მაგისტრატურაში  | დოქტორანტურაში      |
|---|---|---------------------|
| ჰუმანიტარული<br>მეცნიერებების ბაკალავრი /BA<br>Bachelor of Arts /BA<br>მეცნიერების ბაკალავრი /BSc<br>Bachelor of Science /BSc<br>სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი /BMus<br>Bachelor of Music /BMus<br>ხელოვნების ბაკალავრი /BFA<br>Bachelor of Fine Arts/<br>BFA<br>ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი /BBA<br>Bachelor of Business Administration /BBA<br>ინჟინერიის ბაკალავრი /BEng<br>Bachelor of Engineering /BEng<br>ბაკალავრი Bachelor | ჰუმანიტარული<br>მეცნიერებების მაგისტრი /MA<br>Master of Arts /MA<br>მეცნიერების მაგისტრი /MSc<br>Master of Science /MSc<br>სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი Master of Music /MMus<br>ხელოვნების მაგისტრი Master of Fine Arts /MFA<br>ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი Master of Business Administration /MBA<br>ინჟინერიის მაგისტრი Master of Engineering /MEng<br>მაგისტრი Master | დოქტორი PhD/ Doctor |

3. უმაღლესი განათლების პირველ და მე-2 საფეხურებზე კონკრეტული კვალიფიკაციების ქართული და ინგლისურენოვანი დასახელებები განისაზღვრება სწავლის სფეროების მიხედვით, ამ მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად.

4. ინტერდისციპლინური დეტალური სფეროს შესაბამისი კვალიფიკიების მინიჭება ხორციელდება იმ ვიწრო სფეროდან, რომლის სწავლის შედეგიც დომინირებს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაში.

5. კვალიფიკიის სწავლის სფერო აისახება დიპლომის დანართში.

6. კლასიფიკატორის დეტალური სფეროებში განთავსებულ სწავლის სფეროებში ფრჩხილებში არსებული მითითებები/ ტერმინები არ აისახება კვალიფიკიის სახელწოდებაში.

7. პროფესიულ განათლებაში კვალიფიკაცია და ასოცირებული ხარისხი ენიჭება დეტალური სფეროს ქვეშ განთავსებულ მე-3 სვეტში მითითებულ სწავლის სფეროში, რომლის ფორმულირებაც განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით.

8. კვალიფიკაცია – „ბაკალავრი“ ენიჭება დეტალური სფეროს ქვეშ განთავსებულ პირველ სვეტში მითითებულ სწავლის სფეროში.

9. კვალიფიკაცია – „მაგისტრი“ ენიჭება დეტალური სფეროს ქვეშ განთავსებულ პირველ ან მე-2 სვეტში მითითებულ სწავლის სფეროში.

10. კვალიფიკაცია – „დოქტორი“ ენიჭება დეტალური სფეროს ქვეშ განთავსებულ პირველ სვეტში მითითებულ სწავლის სფეროში.“

ბ) მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. სწავლის შედეგი - პროგრამის სწავლის შედეგები უნდა აღწერდეს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულების შემდეგ. პროგრამის სწავლის შედეგები უნდა შესაბამებოდეს პროგრამის მიზნებსა და მოიცავდეს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ მირითად ცოდნას; პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური, უნდა შესაბამებოდეს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, არსებობის შემთხვევაში დარგობრივ მახასიათებელს; სწავლის შედეგები უნდა შესაბამებოდეს კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლეოდეს განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძლების შესაძლებლობას; პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში უნდა იყოს ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები. (დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებული აკრედიტაციის სახელმძღვანელო)“

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მებაღიშვილის ქ.N62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
რექტორი, ასოცირებული პროფესორი

2. 

მაკა ბერიძე